

წლიური ანგარიში 2002

აღმოსავლეთ-აღმოსავლეთი

პროგრამა კერძო პირებსა და ორგანიზაციების ეხმარება მონაწილეობა მიიღონ აღმოსავლეთ-აღმოსავლეთ ქსელის მიერ ორგანიზებულ, საერთაშორისო ღონისძიებებში, თრეინინგებსა და სემინარებში, რომელთა მიზანი სოციალური განვითარების გამოცდილების გლობალური გაზიარებაა. ამავე დროს პროგრამა მხარს უჭერს საინტერესო სემინარების, კონფერენციების ორგანიზებას საქართველოში.

ჩარიტა ჯაში	პრივატიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების შემდგომი გავლენა ქალის როლზე გარდამავალი სტატუსის მქონე ქვეყნებში	\$ 945
ია მერკვილაძე	საერთაშორისო კონფერენცია: "ქალები და პოლიტიკა: პრობლემები და პერსპექტივები"	\$ 549
წოვინარ ნაზარაოვა	საერთაშორისო სემინარი: ქალთა უფლებები პოსტ-საბჭოთა მუსულმანურ რესპუბლიკებში	\$ 1 020
ნარინე ბერიკაშვილი, მაქსიმ გვინჯიხია	მონრეალის საერთაშორისო კონფერენცია: საჯარო ჯანდაცვის პოლიტიკაზე	\$ 4 345
მახაზ ღუდუნიშვილი	ტრანსპარენტულობა და გამჭვირვალობა საჯარო სფეროში	\$ 1 096
ფონდი-"კეის-ტრანსკავკასია"	თბილისის საერთაშორისო კონფერენცია: "საჯარო პოლიტიკის წარმართვა: საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრა და სამთავრობო პოლიტიკაზე ზეგავლენა"	\$ 13 050
კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელი	კავკასიაში გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გაძლიერება (ქობულეთი და ბაკურიანი)	\$ 20 170
თამარ აბრამიშვილი, ლია ნადარაია, დიანა მიქაძე, ძიძია ლუდუშაური, ჩარიტა ჯაში	საერთაშორისო კონფერენცია დუშანბეში: ქალთა როლი დემოკრატიზაციის განვითარებაში	\$ 5 275
გალინა პეტრიაშვილიმ რუსუდან ქარდავა	საერთაშორისო კონფერენცია ბუხარაში: "ახალგაზრდობის და გენდერის განვითარების სტრატეგიები"	\$ 1 860
ზურაბ ჯავახიშვილი, ნინო წერეთელი	ბაქოს საერთაშორისო კონფერენცია : "სეისმური რისკის შემცირება და ქალაქების დაცვა"	\$ 758

ნუგზარ მელაძე, ვახტანგ ქამუშაძე, ლევან დადიანი, თეა მებაღიშვილი, ნიკოლაი გეკაშვილი, ოთარ ჯგერია, მარინა ჩიჩუა, შალვა დაშნიანი, გიორგი სიმონიშვილი, კოტე ნანობაშვილი	ბაქოს საერთაშორისო კონფერენცია: "ადამიანური რესურსების განვითარება სოციალური და ეკონომიკური რეფორმების დროს აზერბაიჯანის და საქართველოს რეგიონებში"	\$ 1 670
ინგა ბერიძე, სოსო ბარათაშვილი, ი.ღორღელიანი	ბაქოს საერთაშორისო კონფერენცია: "ევროპის კონვენცია: აპლიკაციის გზები"	\$ 420
ზვიად სულაბერიძე, მერაბ თავართვილაძე, ბადრი ჭილაძე	პროექტი "აბრეშუმის გზის" ინიციატივა: ეროვნული კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრების ჩამოყალიბება	\$ 3 318
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გაცვლითი ვიზიტი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ბიზნეს განვითარების და მართვის საკითხებთან დაკავშირებით	\$ 3 200
გუგული მალრაძე	კიევის საერთაშორისო კონფერენცია: "გენდერული კომპონენტი ტექნიკურ განათლებაში"	\$ 459
ლაშა ჯულელი, აკაკი მინაშვილი, გვანცა ლიპარტელიანი, სერგო თურმანიძე	ბაქოს საერთაშორისო კონფერენცია: "მოსკოვის ადამიანის უფლებების სკოლის გამოცდილება ადამიანის უფლებების განატლებების დარგში აზერბაიჯანის რეგიონებში"	\$ 1 284
ბიძინა ბრეგაძე, ბადრი ნათობაძე	კიევის პრაქტიკული სემინარი: თანამშრომლობის ხიდი	\$ 1 070
ბექა ოდიაშარია	ალამა ატის საერთაშორისო კონფერენცია: "გადასახადის გადამხდელთა უფლებების სისტემის გაუმჯობესება"	\$ 955
ადამიანის უფლებების თბილისის სკოლა	თბილისის საერთაშორისო კონფერენცია : "ადამიანის უფლებების სწავლება დსთ-ს ქვეყნებში"	\$ 2 287
ბიძინა ბრეგაძე, ირაკლი ბოკუჩავა, მანუჩარ ახალაია	ვილნიუსის საერთაშორისო კონფერენცია: ეხპერიმენტული სასაწავლო მეთოდი მოზარდებთან მუშაობისას	\$ 3 420
ფონდი - მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი	ლიკანის კონფერენცია: რუსეთი და საქართველო-დიალოგი კავკასიონის გადაღმა	\$ 7 010
ლია სარალიძე	ვარშავის საერთაშორისო კონფერენცია: მენტორის	\$ 1 107

	წვლილი სოციალურ პოლიტიკაში	
ზურაბ ჯავახიშვილი	სტამბულის საერთაშორისო კონფერენცია: რეგიონალური თანამშრომლობა ბუნებრივი კატასტროფებისა და სეისმური რისკის შესაფასებაში სეისმური	\$ 965
ზურაბ ჯავახიშვილი, მიხეილ ელაშვილი	სტამბულის საერთაშორისო კონფერენცია: რეგიონალური თანამშრომლობა ბუნებრივი კატასტროფებისა და სეისმური რისკის შესაფასებაში სეისმური	\$ 3 010
სოფიკო ახოზაძე, ნინო ახოზაძე, ირაკლი გორაძე, ანა ლორია, ნინო თევზაძე, თამუნა ღლონტი	გადაწყვეტილების მიმღები და არასამთავრობო საზოგადოება შავი ზღვის აუზში	\$ 6 048
არჩილ ორდენიძე, გრიგოლ გიორგაძე, ოლღა ფანჩულიძე	ბაქოს საერთაშორისო კონფერენცია: ადამიანის უფლებების პოლიტიკა და ტრენინგის ტექნოლოგიები	\$ 1 509
თამარ და თინათინ ზურაბიშვილები	ნოვოსიბირსკის საერთაშორისო კონფერენცია: ინოვაციური პროცესები და სოციალური პარტნიორობა განათლების სესტემაში	\$ 1 235
ზურაბ ჯავახიშვილი, იგორ ტიმჩენკო, თეიმურაზ მელქაძე	ცალხადორის საერთაშორისო კონფერენცია: საერთო მიდგომები სეისმური რისკის შეფასებისას"	\$ 1 097
ხათუნა ცინცაძე	მაკედონიის საერთაშორისო კონფერენცია: დემოკრატიული ლიდერებისათვის	\$ 985
გენადი მახარაძე, ზაზა მარუაშვილი, ზაირა კელპატრიშვილი, ნინო კამკამიძე, მზია გურგენიძე, ნუნუ ჩელიძე, სოსო გვაძაბია, მზია რაზმაძე, ჟუჟუნა ჩეკურიშვილი, ელენე კასრაძე, მადონა ხაზარაძე, მზია შენგელია, ჯამილა გაჯიევა	გაცვლითი ვიზიტი ლიტვაში: თანამშრომლობის განვითარება საქართველოს და ლიტვის საჯარო ბიბლიოთეკებს შორის	\$ 14 165
გიორგი თარხანმოურავი	ტიმიშუარას ტრენინგის რურალურ ტერიტორიებისათვის განკუთვნილი სასწავლო გეგმის შემუშავება	\$ 1 545
ვანო კალაძე, კაჰმედ კუდავა	ბაქოს საერთაშორისო კონფერენცია: "სახელმძღვანელოების შემუშავების მოდელები-სელექცია, პოლიტიკა, სტრატეგიები	\$ 688

ხათუნა ფანცულაია, ლალი ბერძენიშვილი	ერევნის საერთაშორისო კონფერენცია: საზოგადოებრივი ტელეკომუნიკაციის ცენტრები სკოლებში	\$ 480
ვერა წერეთელი, გია ნოდია, გაგა ნიჟარაძე, მარგარიტა ახვლედიანი, პაატა ვეშაპიძე, სალომე დადუნაშვილი, დავით პაიჩაძე, გაბრიელ ნამთალაშვილი, ანდრეი ბელიავსკი, ალენა იმედაშვილი, თენგიზ გოგოტიშვილი, ირაკლი ალადაშვილი, ქეთევან ხატიაშვილი, მაია ჩჰიკვაძე, ზაზა აბზიანიძე	მოსკოვის კონფერენცია: რუსეთი და საქართველო- დიალოგი კავკასიონის გადაღმა	\$ 6 205
მანანა ხაჩიძე, მამუკა ნიკოლაძე, არკადი მანიევი	ლვოვის საერთაშორისო კონფერენცია: საქველმოქმედო არასამთავრობო ორგანიზაციები: დონორების დაფინანსებაზე უარის თქმა და ვოლუნტერიზმის წახალისება	\$ 1 937
ვახტანგ ახბა	ერევნის საერთაშორისო კონფერენცია: საზოგადოებრივი ტელეკომუნიკაციის ცენტრები სკოლებში	\$ 1 090

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: \$ 131 261

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობა; ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა პროფესიული დონის ამაღლება; ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის პროცესის ხელშეწყობა; ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალეების უზრუნველყოფა; საზოგადოების აქტიური ჩაბმა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დასახული მიზნის მისაღწევად 2002 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა ყურადღებას ამახვილებდა შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე: მუნიციპალური ფინანსური რეფორმა; ტრენინგები ადგილობრივი ხელისუფლების; აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი) წარმომადგენლებისა და ახალგაზრდა ლიდერთათვის; ლიტერატურის მომზადება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში; გამჭვირვალეობა; მცირე გრანტების პროგრამა ადგილობრივი სათემო ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი	თანამედროვე ხევისბერი	\$ 7 288
ბაღდათის საკრებულოთა ასოციაცია	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა თანამშრომლების სწავლება	\$ 7 480
სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი	ტრენინგ-პროგრამა საქართველოს ქალაქების საკრებულოთა წარმომადგენლებისათვის	\$ 7 860

ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაცია	ლიდერობის ფსიქო-სოციალური მექანიზმები	\$ 6 628
ფონდი "სვანეთის აღორძინება"	სვანეთის გადასარჩენად	\$ 2 573
საინფორმაციო ცენტრი "ჟურნალისტები დემოკრატიისათვის"	მე ვიტყვი სიმართლეს	\$ 7 956
ადგილობრივი დემოკრატიისა და საზოგადოების განვითარების კავშირი	სახაზინო სამსახურში მიმდინარე ცვლილებების, როგორც ანტიკორუფციული ღონისძიების, დანერგვის და განხორციელების საზოგადოებრივი მონიტორინგი	\$ 7 981
თავისუფლებისა და დემოკრატიის საზოგადოებრივი ცენტრი	სად მიდის თქვენი ფული	\$ 4 700
ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია	ანტიკორუფციული მოძრაობა	\$ 6 000
დემოკრატ მესხთა კავშირი	სასწრაფო ანტიკორუფციული დახმარება	\$ 6 000
საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი	კორუფცია, მთავრობა და საზოგადოება - ვინ ვინ არის?	\$ 4 986
შიდა ქართლის სამოქალაქო განათლების ოფისი	დასაწყისის გარეშე არ არის დასასრული	\$ 5 991
საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი	განათლება კორუფციის გარეშე	\$ 6 000
საინიციატივო ჯგუფი (კახა გოგიშვილი)	მდინარე არაგვის ხეობაში მდებარე ტყე-პარკის აღდგენის პროექტი	\$ 1 392
თავისუფალ ჟურნალისტთა ასოციაცია	სინათლე წყვდიადში	\$ 7 989
პაატა რეკვავა, რომან კუსიანი	ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების ფორმები საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში	\$ 5 568
საინიციატივო ჯგუფი (შოთა ბარბაქაძე)	სოფლის სიკეთე	\$ 1 000

საზოგადოებრივ-საინფორმაციო ცენტრი "ალტერნატივა"	მომძრაობა შენი არჩევანი - შენი მომავალი	\$ 17 613
კავშირი "ჰუმანური საზოგადოებისათვის"	ვანის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა უნარ-ჩვევების გაუმჯობესება	\$ 4 498
კავშირი "წნისი"	სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	\$ 13 106
კავშირი "ადრიაწმინდა"	ადრიაწმინდა - კეთილდღეობის დასაწყისი	\$ 475
კავშირი "ანი"	ანის აღორძინება	\$ 2 193
კავშირი "ოლავერდი"	"სიცოცხლის გზა" "წყალსაცავი" "ტელევიზია"	\$ 2 968
კავშირი "ყულალისი"	ძალა ერთობაშია	\$ 9 593
კავშირი "ნინოწმინდა"	წყალი სპასოვკას	\$ 11 818
"წინუბანი XXI"	გზა მდგრადი განვითარებისაკენ	\$ 9 756
კავშირი "აფნიის თემი"	იმედის წყარო	\$ 7 816
კავშირი "ვალე"	ნაბიჯები ქ.ვალეს აღორძინებისათვის	\$ 3 691
სათემო კავშირი "გიორგიწმინდა"	წყალი სიცოცხლის საწინდარია	\$ 5 099
კავშირი "ღრელი"	წყალი სიცოცხლის საწინდარია	\$ 8 576
კავშირი "აბჯარაული"	რკინის წყარო	\$ 4 712
სათემო კავშირი "სირგვა"	ჩემი სკოლა	\$ 6 467
კავშირი "მუგარეთი"	სოფელი და წყალი	\$ 8 134
კავშირი "თისელი"	თისელის სასმელი წყლის მშენებლობა	\$ 2 629
ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი	ქუთაისის ბიუჯეტის მონიტორინგი და მისი ხარჯვის მეცნიერული ანალიზი	\$ 7 693

ეკონომიკური ცოდნის გავრცელების ფონდი "ოქროს აქტივები"	საჩხერის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ტრენინგი	\$ 3 396
საქართველოს ანტიკორუფციული ბიურო	გრძელვადიანი ანტიკორუფციული პროგრამის მონიტორინგის ფინანსური მხარდაჭერა	\$ 38 475

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: \$ 266 000

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: \$ 250 000

ეკონომიკური განვითარების პროგრამა

2002 წელს ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველოს" ეკონომიკური განვითარების პროგრამის მიზანი იყო საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა.

ამ მიზნის მისაღწევად ფონდმა შემდეგი ღონისძიებები გაატარა:

1. დაუჭირა მხარი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის დარგში მომუშავე ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი პროექტები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას განაპირობებდნენ.
2. ხელი შეუწყო ელექტრონული კომერციის განვითარებას.
3. ბიზნესმენტათვის განახორციელა სასწავლო-შემეცნებითი მივლინება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში.
4. კომერციულ ბანკთან თანამშრომლობის საფუძველზე, განახორციელა სესხების პროგრამა გამომცემელთათვის, სასკოლო სახელმძღვანელოების გამოსაცემად
5. მიკროფინანსირების და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

ასოციაცია "მეცნიერების ხელშეწყობა საქართველოში"	საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები	\$ 12 542
ასოციაცია "მეცნიერების ხელშეწყობა საქართველოში"	საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები	\$ 3 560
საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტი	ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის შექმნა	\$ 12 204
შპს გამომცემლობა "დიოგენე"	"ეკონომიკის პრინციპების" მასწავლებლის წიგნის გამოცემა	\$ 2 290
შპს "აუდიტკონსალტინგკორპორეიშენ"	მცირე და საშუალო ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურება თანამედროვე მენეჯმენტის და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით	\$ 12 990
კინოსტუდია "კვალი"	15 წუთი ბიზნესის შესახებ. საგანმანათლებლო მოკლემეტრაჟიანი ფილმის შექმნა ბიზნესის შესახებ.	\$ 7 747
ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრი	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება იმერეთის	\$ 14 976

	რეგიონში	
მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სააგენტო შ.პ.ს. "სმედა - თბილისი"	საკონსულტაციო მომსახურების გაწევა მცირე და საშუალო საწარმოთათვის	\$ 14 938
რეგიონალური საზოგადოებრივი კავშირი "ახალციხის ბიზნეს ცენტრი"	ახალქალაქის ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბება	\$ 19 250
სამოქალაქო კავშირი "საზოგადოებრივი ინიციატივა"	მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა ინფორმირება რეგულარული რადიოგადაცემების მეშვეობით.	\$ 14 256
საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა სასწავლო-შემეცნებითი მივლინება და ტრენინგი ავსტრიაში.		\$ 19 806
საქართველოს მემამულეთა კავშირი	საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება - სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, რაციონალური დაგეგმვის, ფინანსირებისა და მართვის ახალი გზა ცხინვალის რეგიონში.	\$ 14 810
სესხების პროგრამა სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემელთათვის	საგარანტიო ფონდი	\$ 50 000
იურიდიული მომსახურების ცენტრი	გადასახადის გადამხდელთა მომსახურების სრულყოფა, მათი ოპერატიული ინფორმირების, კონსულტირებისა და ტრენინგების ჩატარების გზით.	\$ 10 715
საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაცია	ქვემო ქართლში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა	\$ 10 234
შპს "აი-თი-აი"	ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა	\$ 13 420
საინიციატივო ჯგუფი	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ბარიერების (მონოპოლიური ფასების) გამოვლენა და აღმოფხვრა ბაზარზე	\$ 7 700
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესში საინფორმაციო ტექნოლოგიების" დეპარტამენტი	ქართულენოვანი საინტერნეტო ბიზნეს-პორტალის შექმნა	\$ 9 960

მესხეთის სოციალური განვითარების ცენტრი	სპეციალიზირებული ტურიზმის ეკონომიკური პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთში: ეკომუზეუმი	\$ 10 000
--	--	------------------

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: \$ 261 398

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: \$ 305 000

განათლების ეროვნული პროგრამა

განათლების ეროვნული პროგრამის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში განათლების რეფორმის განხორციელებას, სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობის აღდგენას, დაეხმაროს ცენტრიდან დაშორებულ რეგიონებისა და ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემების გადაწყვეტას.

ამ მიზნით პროგრამა საკონკურსო საფიძველზე ავლენდა იმგვარ ინოვაციურ პროექტებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა დღევანდელი სასკოლო განათლების განვითარებას და დადებით ზეგავლენას მოახდენდა საშუალო საკოლაში მიმდინარე რეფორმაზე. განათლების ეროვნულმა პროგრამამ 2002 წელს პრიორიტეტულ მიმართულებად საქართველოს რეგიონალური კომპიუტერული ცენტრების ჩამოყალიბება, სპეციალიზირებული საგნობრივი კლას-კაბინეტების შექმნა და მზრუნველობას მოკლებულ მოზარდთა საზაფხულო ბანაკების მხარდაჭერა დაისახა მიზნად. ამ პრიორიტეტებთან ერთად პროგრამა მხარს უჭერდა საგანმანათლებლო საზოგადოებიდან წამოსულ მრავალფეროვან საინტერესო იდეებს.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	კომპიუტერული ცენტრი დედოფლისწყაროში	\$ 4 000
ასოციაცია "ლაშა და ობოლა"	"კომპიუტერთან ერთად XXI საუკუნეში"	\$ 3 855
კავშირი "თვითმმართველობის, კანონიერებისა და განვითარების ხაშურის ცენტრი"	"სასწავლო კომპიუტერული ცენტრი სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის"	\$ 4 000
ხარაგაულის რ-ნის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	ხარაგაულის კომპიუტერული ცენტრი "მონიტორი"	\$ 3 780
გ.ჭანტურიას სახ. კერძო სკოლა	"ფესვები"	\$ 3 469
კავშირი "ბართ-ერთობა"	"ბანაკი ბორჯომში"	\$ 2 307
კავშირი "ცხოვრების მეგზური"	"საზაფხულო ბანაკი აბასთუმანში"	\$ 3 862
ქ.საჩინოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა	საზაფხულო მიზნობრივი ბანაკი "იმედი" მოზარდებისათვის	\$ 3 232
მე-2 ქართული გიმნაზია	საზაფხულო ბანაკი "საწირე - 2002"	\$ 3 428
ქ. მარნეულის მე-6 საშ. სკოლა	"მშობლიური ჩემო მიწავ"	\$ 3 457

საქართველოს უსინათლოთა კავშირი	საზაფხულო ბანაკი "მეგობრობა"	\$ 3 990
ასოციაცია "ავანგარდი"	საზაფხულო ბანაკი "ლაზურნაია"	\$ 3 982
147-ე საშუალო სკოლა	ასტრონომიული კაბინეტი	\$ 1 490
ქ.ბათუმის დავით აღმაშენებლის სახ.გიმნაზია	"გიმნაზიის ქიმიის კაბინეტის მოდერნიზაცია"	\$ 1 489
რუსთავის ქართლი გიმნაზია	"გიმნაზიის ბიოლოგიის კაბინეტის აღჭურვა"	\$ 1 480
თბილისი 116-ე საშუალო სკოლა	"116-ე სკოლის ქიმიის კაბინეტის მოწყობა"	\$ 1 465
"ახალი თაობა"	"ბავშვთა სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო ცენტრი"	\$ 10 500
კავშირი "განათლება და ახალი ტექნოლოგიები"	"საქართველოს ისტორიული ატლასისა და კონტურული რუკების ერთჯერადი გამოცემა და პოპულარიზაცია"	\$ 3 459
განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "მზიური"	"კომპიუტერული ტექნიკის ეფექტური გამოყენების მხარდაჭერა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში"	\$ 2 074
აჭარაძე ლიანა	"ლტოლვილთა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფა"	\$ 2 674
სააკაშვილი ედუარდ	"დავუბრუნოთ ლტოლვილ ბავშვებს ბავშვობა"	\$ 1 923
კიკნაძე ზურაბ	"ათასწლეულის გასაყარზე"	\$ 8 442
თევზაძე გიგი	"საპილოტო სკოლებისათვის სასწავლო კურსის აუცილებელი მასალის შექმნა"	\$ 1 298
განათლების სამინისტროს სასწავლო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება "ინფორმატიკა"	"ინფორმატიკის მე-14 მსოფლიო ოლიმპიადაში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა"	\$ 8 990
გურული თორნიკე	"საზოგადოებასთან ურთიერთობის კაბინეტის ხელშეწყობა"	\$ 7 427

ფხაკაძე კონსტანტინე	"კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში"	\$ 1 540
ნახუცვრიშვილი გიორგი	"კავკასიის ფლორის გადაშენების პირას მისული ზოგიერთი სახეობის კონსერვაცია"	\$ 500
შარვაშიძე მაია	"მცენარეების სახეობათა იდენტიფიკაცია მტვრის მარცვლის ლუმინენსტენტურ კვლევის მეთოდი"	\$ 494
თუმანიშვილი გიორგი	"პერსონალური ცომპიუტერის გამოყენება ქართულად მეტყველების შესწავლასა და სრულყოფაში"	\$ 499
გაგნიძე რევაზ	"კავკასიის წითელი წიგნის კომპიუტერული რუკა"	\$ 500
ყვავაძე ერისტო	"მდინარე არაგვის ხეობის ბზუალა ხოჭოები, მათი ბიოლოგიისა და ეკოლოგიის ზოგიერთი საკითხი"	\$ 462
გალის რაიონის ქალთა ასოციაცია	"გალის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი აღზრდა"	\$ 12 020
ბერუჩაშვილი ნიკოლოზ	სამგზავრო გრანტი	\$ 502
თბილისის ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამგზავრო გრანტი	\$ 1 330
რხცმელურის საშ. სკოლა	"გეოგრაფიის კაბინეტი"	\$ 1 444
ქალთა საქველმოქმედო კავშირი "დედის კალთა"	"სოციალურად დაუცველი ინვალიდი ბავშვებისათვის სასწავლო-შემოქმედებითი ცენტრის ჩამოყალიბება"	\$ 2 885
განათლების სამინისტროს სასწავლო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება "ინფორმატიკა"	"ინფორმატიკის ცენტრების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა"	\$ 500
სოროსის ინგლისური ენის პროფესიული სწავლების პროგრამა	შიდა პროექტი პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა	\$ 8 770

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: **\$ 127 519**

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: **\$ 100 000**

მასმედიის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა

2002 წლის მას მედიის ეროვნული პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების და დამოუკიდებელი ჟურნალისტების სამართლებრივი მხარდაჭერა, იურიდიული კონსულტაცია და აქტიური მონაწილეობა მასმედიის შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესებაში.
- ჟურნალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება. ჟურნალისტების საერთო დონეზე ზრუნვა. ჟურნალისტების სფეროების მიხედვით, დარგობრივი სპეციალიზაციის ხელშეწყობა.
- საგამომდებლო ჟურნალისტიკაში მოღვაწე სპეციალისტების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, მათი საქმიანობის მხარდაჭერა.
- ჟურნალისტთა მაქსიმალური მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის ყველა სფეროში.
- ჟურნალისტთა კოოპერაციის მხარდაჭერა; დედაქალაქისა და რეგიონის ჟურნალისტთა ერთობლივი საქმიანობის მხარდაჭერა; რეგიონებში თავისუფალი მედიის მხარდაჭერა.
- ჟურნალისტების ყურადღების მიპყრობა და მათი კვალიფიკაციის გაუმჯობესება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა უმცირესობათა უფლებები, კონფლიქტური რეგიონების პრობლემატიკა; საზოგადოებრივი ინტეგრაცია საქართველოში და ინტეგრაცია ევროპულ ღირებულებათა სისტემებში.

დამოუკიდებელი გაზეთი "ბათუმელები"	გაზეთ ბათუმელების ყოველკვირეული გამოცემა	\$ 23 761
ქართულ - აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი	"საინფორმაციო-მუსიკალური რადიოგადაცემები აფხაზურ ენაზე - რადიო "ჰარა"	\$ 17 412
არასამთავრობო ორგანიზაცია - ასოციაცია "ღია ტექსტი"	თანამედროვე ქართული პრესის კომპიუტერული არქივის მონაცემთა ბაზის ცალკეულ მონაცემთა აქტუალიზაცია	\$ 8 401
გაზეთი "გურია ნიუსი"	"ინფორმირებული საზოგადოება კორუფციის წინააღმდეგ"	\$ 5 205
დმანისის რაიონული გაზეთი "დმანისი"		\$ 350
გაზეთ "რეზონანსის" სპორტული განყოფილების რედაქტორი, აკაკი გვიმრაძე	სამგზავრო გრანტი, კონფერენციაზე დასასწრებად ქ. მასატრიხტში	\$ 880
ნათია მამისთვალოვი, გაზეთი "ჯორჯიან მესინჯერი"	სამგზავრო გრანტი, კონფერენციაზე დასასწრებად, ქ. მასატრიხტში	\$ 682
ორგანიზაცია - დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისათვის	ქართული მედია და სოციალური სფერო	\$ 9 176

არასამთავრობო ორგანიზაცია - ასოციაცია "მედიაცენტრი"	ანალიტიკური ჟურნალისტიკის განვითარების ხელშეწყობა	\$ 4 758
ქართულ - აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი	"საინფორმაციო-მუსიკალური რადიოგადაცემები აფხაზურ ენაზე - რადიო "ჰარა"	\$ 33 040
ახალგაზრდული ორგანიზაცია "ნიფსი"	"მესამე სექტორი"	\$ 5 000
გადაცემა "60 წუთის" ჟურნალისტები	სამგზავრო გრანტი საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობაზე (სან ფრანცისკო, აშშ)	\$ 3 300
გამომცემლობა შპს "ავტოგრაფი"	"საინფორმაციო ხარისხის გაუმჯობესება გაზეთ "PS" - ში	\$ 6 991
შ.პ.ს. A&A, გაზეთი "ფოთი"	თავისუფალი სიტყვა ფოთში	\$ 5 799
"ახალი გაზეთი"	ახალი რუბრიკები "ახალ გაზეთში"	\$ 5 382
გურიის ახალგაზრდული გაზეთი - "21-ის ქვევით"	"ემბრიონი"	\$ 5 285
თავისუფალი გაზეთი "კახეთის ხმა"	მასმედია საზოგადოების გააქტიურებისათვის	\$ 6 793
გაზეთი "ლანჩხუთი პლუს"	"ადგილობრივი ბეჭდვითი მედიის ინფორმაციული და კომუნიკაციური სივრცის გაუმჯობესებისა და გაფართოების მოდელი"	\$ 6 827

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: \$ 149 042

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: \$ 160 000

კარლ პოპერის დებატების პროგრამა

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს აქტიური და განათლებული მოქალაქის ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს მოზარდ თაობაში ინტელექტის, კრიტიკული და თავისუფალი აზროვნების განვითარებას. მოზარდმა არგუმენტირებულად უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და შესაბამისად პატივი სცეს სხვის მოსაზრებას. ამისათვის პროგრამა მიმართავს ფორმალურ დებატებს - ეს არის კამათის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმა, რომელიც ხელს უწყობს ინტელექტის, არგუმენტირებული მსჯელობის და ორატორული უნარის განვითარებას. დებატები შემეცნების პროცესს უფრო ხალისიანსა და უშუალოს ხდის. ამასთანავე მასწავლებელს აძლევს მოსწავლეებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის საშუალებას.

საშუალო სკოლის პროგრამა - (კარლ პოპერის ფორმატი, პოლიტიკური ფორმატი) მოეწყო სემინარები პროგრამაში ჩართვის სურვილის მქონე მასწავლებლებისათვის, როგორც რეგიონებში ასევე დედაქალაქში; გადამზადდა პროგრამაში ჩართული ყველა მწვრთნელი; მოეწყო ეროვნული საზაფხულო ბანაკი; ჩატარდა ეროვნული ტურნირები; მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს დებატების

საერთაშორისო ღონისძიებებში.

საუნივერსიტეტო პროგრამა - (საპარლამენტო ფორმატი)

ჩატარდა სემინარები სტუდენტებისათვის; უმაღლეს სასწავლებელში ჩამოყალიბდა და გაფართოვდა სადებატო კლუბები; ჩატარდა სტუდენტური ტურნირები; სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს დებატების საერთაშორისო ღონისძიებებში.

სემინარები სკოლის მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის	\$ 5 364
სასკოლო და სტუდენტური ტურნირები საქართველოში	\$ 17 765
საერთაშორისო ღონისძიებები	\$ 9 260
დებატების საზაფხულო ეროვნული ბანაკი	\$ 16 915
რეგიონალური რესურს-ცენტრის გახსნისთვის საჭირო ინვენტარი	\$ 3 740

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: \$ 53 044

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: \$ 60 000

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა

ფონდის ეროვნული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის ძირითადი ამოცანაა გრანტების გაცემის გზით მხარი დაუჭიროს საქართველოს ჯანდაცვის სფეროს განვითარებას ახალი ურთიერთობების ფორმირების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ეფექტური პროექტების განხორციელების და მოსახლეობაში დაავადებების პროფილაქტიკისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით.

დასახული მიზნების მისაღწევად 2002 წელს პროგრამამ ყურადღება გაამახვილა შემდგომ საკითხებზე:

- კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სფეროში მომუშავე პროფესიული ასოციაციების ხელშეწყობა მკურნალობის სტანდარტების (Disease Management Standards) შემუშავებისათვის.
- სამედიცინო-კლინიკური პრაქტიკის ხარისხის კონტროლის მექანიზმების შემუშავება.
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლების დახმარება.
- სასწავლო და საგანმანათლებლო კურსების, სემინარების ჩატარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შემდეგ სფეროებში: ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანდაცვის ეკონომიკა, ჯანდაცვის პოლიტიკა და სხვ.
- ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვების, შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის და სტატისტიკური კვლევის ბაზისური ცოდნის და მეთოდების განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ჯანმრთელობის და მედიცინის შედარებით ნაკლებად შესწავლილ სფეროებში.
- პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს ექიმების პროფესიული ზრდის ამაღლებით სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ამუშავებას როგორც ცენტრალურ რაიონებში, ასევე რეგიონებში.
- პროფესიული არასამთავრობო ორგანიზაციების ჯანდაცვის მართვის პროცესში ჩართვა.
- ჯანდაცვის სფეროში ფაქტებზე დამყარებული მედიცინის ეფექტური საინფორმაციო და საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავს ფაქტებზე დამყარებული მედიცინის (Evidence Based Medicine) სწავლებას, პოპულარიზაციას ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალებსა და საზოგადოების ფართო წრეებში.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში დასავლეთის წამყვან სასწავლო დაწესებულებებში დისტანციური

სწავლების კურსების დაფინანსება.

-პაციენტთა უფლებების ინსტიტუციონალური დაცვის გაძლიერება (სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ეთიკური კომისიები, პაციენტთა ორგანიზაციები).

-მენტალურად დაავადებულთა დეინსტიტუციონალიზაციისათვის თემზე ორიენტირებული ალტერნატიულ პროგრამების მხარდაჭერა.

-ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკის რეტროსპექტული ანალიზი, სახელმწიფო ჯანდაცვის პოლიტიკის კრიტიკული შეფასება და მიმდინარე რეფორმის თავისებურებების ანალიზი.

-მოსახლეობის და სამედიცინო საზოგადოებისთვის პალიატიური მედიცინის თანამედროვე ამოცანების და მიდგომების გაცნობა. პალიატიური მედიცინის სფეროში საცდელი პროექტების განხორციელება.

-საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ახალი პროფესიების აუცილებლობის განსაზღვრა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. ამ საკითხისადმი მულტიდისციპლინარული მიდგომა და ახალი პროფესიების შემუშავება (ქეარგივერი, სოციალური მუშაკი).

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია; კავშირი "კლინიკური ეფექტურობის ცენტრი რეპროდუქტოლოგიაში"	"მტკიცებებზე დაფუძნებული მედიცინის სასწავლო უნიფიცირებული კურსის შექმნა"	\$ 6 000
იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი "სპექტრი"	"იმერეთის რეგიონის მედიკოსებისათვის ფაქტებზე დამყარებული მედიცინის საფუძვლებისა და სამიეზო სტრატეგიის სწავლების ხელშეწყობა"	\$ 5 402
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვ. ალადაშვილის სახელობის # 1 კლინიკა	"როგორ ვასწავლოთ ფაქტებზე დამყარებული მედიცინა: საგანმანათლებლო მასალების შემუშავება ფდმ-ს სწავლების დანერგვისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის # 1 კათედრაზე"	\$ 3 890
საინიციატივო ჯგუფი	"საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ფაქტებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების პოპულარიზაცია"	\$ 5 965
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფი	"ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის -ფაქტებზე დამყარებული მედიცინის განვითარება-სასწავლო კურსის დანერგვა და უზრუნველყოფა"	\$ 4 500
კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ	ნუცას სკოლა	\$ 4 000
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის საინიციატივო ჯგუფი	განსაკუთრებულ მოზარდთა ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ინკლუზიის კურსი მასწავლებელთათვის	\$ 3 000
კავშირი "ბავშვთა თანაბარი უფლებებისათვის"	ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი ბორჯომის რაიონში	\$ 9 909

კავშირი-საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი	"საქართველოს სპეციალური ოლიმპიური მოძრაობის განვითარების პროგრამა"	\$ 9 980
მცხეთის რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	"პაციენტის უფლებების რეალიზაცია"	\$ 3 000
მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა	"პედიატრიული კლინიკის სამედიცინო ეთიკის კომისია"	\$ 3 000
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	"სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლების და მისი კონტროლის საერთაშორისო დონესთან მიახლოებული მუდმივგანახლებადი ინსტიტუციონალური სისტემის ჩამოყალიბება"	\$ 10 285
კიბოს პრევენციის ცენტრი	საქართველოში პალიატიური მზრუნველობის მოდელის და სასწავლო კურსის ჩამოყალიბება	\$ 7 090
ლევან ბარამიძე	"სამედიცინო პერსონალში სისხლის ინფექციების ინფორმატიულობის შეფასება"	\$ 5 000
საქართველოს უსინათლო ბავშვთა დაცვის ფონდი	"ცოდნა სინათლეა"	\$ 3 709
შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი	"იგოცხლე და ნება მიეცი იგოცხლოს"	\$ 2 819
აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი	ინტრავენურ ნარკომანთა შორის შიდსის პრევენცია ბათუმში	\$ 15 000
ორგანიზაციების ჯგუფი - საქართველოს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი, საზოგადოება "სასოება", კავშირი "ახალი გზა".	"ზიანის შემცირების პროგრამა თბილისში"	\$ 25 000
ნათია ყურაშვილი, თამარ გოცირიძე	სამგზავრო გრანტი - პალიატიური მზრუნველობის სასწავლო კურსში (ბუდაპეშტი) მონაწილეობა	\$ 1 470
რეპროდუქტიული ჯანმრთელობის კლინიკური ეფექტურობის ცენტრი	მანუალური ვაკუუმ ასპირაციის ინსტიტუციონალიზაცია	\$ 12 580
საინიციატივო ჯგუფი "წყალი, მიწა, ჰაერი"	ერი ჰერონის წინააღმდეგ	\$ 2 242

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო კურსის ჩამოყალიბება	\$ 20 000
თეა კაკაბაძე, ხათუნა ქათამაძე, ნანა საყვარელიძე, შალვა ჩხიკვიშვილი, ნანა ზავრდაშვილი, ირინე ხატიაშვილი, ნანა გორგილაძე, ელენე ძაგნიძე, ელენე ბოჭორიძე, ნინო ჯაშიაშვილი, ნინო ბაბუნაშვილი, მიხეილ ჯანჯალია, ნოდარ ელოშვილი, ნინო ქიქოძე, ეკატერინე ჩხარტიშვილი, გიორგი ძაგნიძე, ნინო ანთიძე.	ზალცბურგის სამედიცინო სემინარებში მონაწილეობის მიღება	\$ 20 000
რევაზ მორგოშია, დავით გოგოლაძე, მარეხ ჩერქეზიშვილი, ნანა გერმანიშვილი	შვაციერის ინსტიტუტის კონფერენციაში "საოჯახო მედიცინა" მონაწილეობის მიღება, კიშიონიოვი, მოლდავეთი	\$ 3 220
ლევან კობალაძე, გიორგი გოცაძე	შვაციერის ინსტიტუტის კონფერენციაში "ევროპული ობსერვატორია ჯანდაცვის სისტემებზე" მონაწილეობის მიღება, დუბროვნიკი, ხორვატია	\$ 2 252
მამუკა ჯიბუტი, გიორგი ბახტურიძე	შვაციერის ინსტიტუტის კონფერენციაში მონაწილეობის მიღება	\$ 2 160
გიორგი ხეჩინაშვილი, კახა კობერიძე	სემინარში "ჯანდაცვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში" მონაწილეობის მიღება, ლონდონი, 23-25 აპრილი	\$ 3 290
არჩილ სალაყაია, დავით ანანიაშვილი, მაია ცინცაძე, ქეთევან სტვილია, მარინა ჯანჯღავა	შვაციერის ინსტიტუტის კონფერენციაში "შიდსი/ტუბერკულოზი" მონაწილეობის მიღება, ვილნიუსი, ლიტვა, 29 ოქტომბერი-3 ნოემბერი	\$ 4 360

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: \$ 199 123

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: \$ 200 000

საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი

საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრის მიზანია სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს იმ ქართველ სტუდენტებსა და პროფესიონალებს, რომელთაც სურთ სწავლის გაგრძელება ან კვალიფიკაციის ამაღლება აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, აშშ-სა და თანამეგობრობის ქვეყნებში.

2002 წელს ცენტრი აგრძელებდა თავის მუშაობას ძირითადად სოროსის ქსელის სტიპენდიების ადმინისტრირების მიმართულებით თბილისის ოფისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავისა და ახალციხის

განყოფილებების მეშვეობით, სადაც მომხმარებელი იღებდა არა მხოლოდ თეორიულ ინფორმაციას არამედ შემდეგი სახის პრაქტიკულ დახმარებასაც:

- ცენტრში არსებულ ბიბლიოთეკაში მსურველები სარგებლობდნენ სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებებით, როგორცაა საუნივერსიტეტო კატალოგები, გრანტებისა და სტიპენდიების მოსამძიებელი მეგზურები, სპეციალური თემატური ლიტერატურა, სხვადასხვა ტესტების მოსამზადებელი სახელმძღვანელოები: TOEFL, GMAT, GRE და სხვა, რომლებიც მოწოდებულია მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიდან და საქართველოში ამერიკის საელჩოს განათლებისა და კულტურის განყოფილების მიერ;
- ინფორმაციის მოპოვება და ტესტების მომზადება ინტერნეტის მეშვეობით საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრის ინტერნეტ-ცენტრში, რომლითაც სარგებლობა ხდებოდა უფასოდ, წინასწარი ჩაწერის საფუძველზე;
- ქართველი და უცხოელი ლექტორებისა და მრჩეველების მიერ, რეგულარულად, კვირაში ორჯერ, იმართებოდა სტუდენტებთან შეხვედრები და თემატური ლექციები სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების საშუალებების, სათანადო უნივერსიტეტებისა და ფინანსური დახმარების მოძიების შესახებ, ასევე წინასამგზავრო ორიენტაციები და სემინარები საგანაცხადო ფორმების შევსებისა თუ რეზიუმეებისა და თავისუფალი თემების დაწერის ტექნიკის შესახებ. კვირაში ერთხელ ასევე უცხოელი სტუმრების მიერ ეწყობოდა ფილმების ჩვენება შემდგომი დისკუსიებით.

წინა წლების მსგავსად 2002 წელს საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრს გამოცხადებული ჰქონდა 20 სხვადასხვა კონკურსი როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებში, ასევე გრძელ და მოკლევადიან სტაჟირებებსა და საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის მსურველთათვის. სოროსის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებში მონაწილეებს საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრში აგრეთვე შეეძლოთ მიეღოთ სამგზავრო გრანტები;

2002 წელს საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი ადმინისტრირებას უკეთებდა შემდეგ პროგრამებს:

აკადემიური პროგრამები:

- ოთხწლიანი პროგრამა ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ბულგარეთის ამერიკულ უნივერსიტეტში (AUBG);

შემოვიდა სულ 14 განაცხადი, სასწავლებლად გაემგზავრა 2 სტუდენტი;

- ერთწლიანი გაცვლითი პროგრამა ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში უმაღლესი სასწავლებლების

მეორე კურსელთათვის (UEP);

შემოვიდა 47 განაცხადი, კონკურსში გაიმარჯვა 3 სტუდენტმა;

- ერთწლიანი და ორწლიანი პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის

უნივერსიტეტში (CEU);

შემოვიდა 183 განაცხადი, სასწავლებლად გაემგზავრა 12 სტუდენტი;

- წელიწადნახევრიანი მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირებაში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს

სკოლაში;

შემოვიდა 5 განაცხადი, გაემგზავრა 2 სტუდენტი;

- ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამები უორუიკისა (Warwick) და ედინბურგის (Edinburgh)

უნივერსიტეტებში, დიდი

ბრიტანეთი;

Warwick-ის უნივერსიტეტის კონკურსში შემოვიდა 63 განაცხადი, გაემგზავრა 1 სტუდენტი;

Edinburgh-ის უნივერსიტეტის კონკურსში შემოვიდა 18 განაცხადი, გაემგზავრა 2 სტუდენტი.

- ორწლიანი პროგრამა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად სოციალურ მუშაკთათვის აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტებსა

და კოლეჯებში (SWF);

შემოვიდა 29 განაცხადი, კონკურსში გაიმარჯვა 2 აპლიკანტმა.

- სოროსის დამატებითი გრანტების პროგრამა საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში (SSGP);

შემოვიდა სულ 10 განაცხადი, დამატებითი დაფინანსება მიიღო 5 სტუდენტმა;

- გლობალური დამატებითი გრანტების პროგრამა დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების ქართველი

დოქტორანტებისათვის (GSGP);

შემოვიდა 3 განაცხადი, გრანტი მიიღო 1 სტუდენტმა.

მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირებები და საზაფხულო სკოლები ახალგაზრდა მეცნიერთა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთათვის:

- ოქსფორდის კოლეჯებში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები (Oxford Colleges Hospitality Scheme);

შემოვიდა 23 განაცხადი, გაემგზავრა 4 კაცი.

- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების სარესურსო ცენტრი ბუდაპეშტში (CRC);

შემოვიდა 21 განაცხადი, გაემგზავრა 10 კაცი;

- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების განვითარების ცენტრი ბუდაპეშტში (CDC);

შემოვიდა 22 განაცხადი, დადებითი პასუხი მიიღო 2 აპლიკანტმა;

- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლა (SUN);

შემოვიდა 101 განაცხადი, გაემგზავრა 16 კაცი.

- უმაღლესი სკოლების ახალგაზრდა მასწავლებელთა ორწლიანი გადამზადება - სტაჟირება ამერიკის შეერთებულ

შტატებში (FDF);

შემოვიდა 9 განაცხადი, გაიმარჯვა 4 აპლიკანტმა.

- ჯორჯთაუნის საზაფხულო სკოლა ჩარლზის უნივერსიტეტში, პრადში;

სამგზავრო გრანტზე შემოვიდა 9 განაცხადი, გრანტი გადაეცა 6 აპლიკანტს.

საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრის მიმდინარე პროგრამებში 2002 წელს სულ შემოვიდა 557 განაცხადი, რომელთაგან კონკურსში გაიმარჯვა 72 აპლიკანტმა.

საკონსულტაციო ცენტრი ყოველწლიურად იღებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კულტურისა და განათლების სააგენტოს გრანტს.

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: \$ 151 108

სამართლის პროგრამა

1. შესავალი

სამართლის პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის წარმატებით გაგრძელებას. ამასთან, სამართლის პროგრამა იქნება ფონდის “ღია საზოგადოება - საქართველო”-ს მთავარი კომპონენტი საქართველოში კორუფციასთან ბრძოლაში.

2. მიზანი

სამართლის პროგრამის მიზანია სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა, იურიდიული განათლების ამაღლება, აგრეთვე კორუფციისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულობის კლიმატის შექმნა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფ საშუალო ფენაში.

3. პრიორიტეტები

სამართლის პროგრამას 2002 წელს ექნება შემდეგი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. ადამიანის უფლებები: საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ამაღლება ადამიანის უფლებების შესახებ, სამართლებრივი რეფორმების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების დაცვის გარემოს განვითარება

1.1. საზოგადოების იურიდიული განათლება:

- საზოგადოების ხვადასხვა ჯგუფებისთვის განათლების პროგრამების გაგრძელება (სამოქალაქო და ადამიანის უფლებები, პოლიციის ვალდებულებები და ა.შ.);
- აღმსარებლობის და სიტყვის თავისუფლების ხელშეწყობა
- იურიდიულის სახელმძღვანელოების და პროგრამების შექმნის ხელშეწყობა;
- განათლების სისტემის სამართლებრივი რეფორმის მხარდაჭერა
- ელექტორატის საარჩევნო საკითხებში გათვითცნობიერება და არჩევნების სამოქალაქო მონიტორინგი

1.2. სამართლებრივი დაცვა

- პოლიციაში გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა, კონკურსის საფუძველზე შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის უფასო იურიდიული მომსახურების დაფინანსება. იურიდიულ მომსახურებაში იგულისხმება, როგორც იურიდიული კონსულტაციები ასევე მოსახლეობის სამართლებრივი დაცვა სასამართლოებში.
- იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ეფექტური კლინიკური პროგრამების შექმნა;
- მდგრადი სამართლებრივი დაცვის სისტემის ჩამოყალიბება

1.3. დარღვევების მნიტორინგი

- ადამიანის უფლებების დარღვევების მონიტორინგი; შესაბამისი საქმეების სასამართლოში წარმოება
- სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის მხარდაჭერა
- საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი (გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით 2003 წელს)

2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა: საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში კორუფციისადმი ნეგატიური დამოკიდებულობის დამკვიდრების ხელის შეწყობა. ასევე ცალკეული ანტიკორუფციული კომპონენტების ხელშეწყობა.

- საზოგადოების ანტიკორუფციულ საქმიანობაში ჩართვა;
- მთავრობის ინსტიტუციური გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულობის გაზრდა საზოგადოების მიმართ;
- ანტიკორუფციული განათლების მხარდაჭერა;
- პრივატიზაციის პროცესის შესახებ საჯარო ინფორმაციის შექმნა და გავრცელება
- მაქსიმალური გამჭვირვალობის დამკვიდრების ხელშეწყობა დონორ და გრანტის მიმღებ ორგანიზაციებში:

2.1. საგამოძიებო ჟურნალისტიკა (მედიის პროგრამასთან თანამშრომლობით);

- საგამოძიებო ჟურნალისტიკის პრაქტიკის განვითარებისა და ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ჟურნალისტთა ისეთი გაერთიანებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებიც იმოდვანებენ საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში;
- აღნიშნული გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა, რათა მათ საგამოძიებო ჟურნალისტებისათვის ფინანსური და პროფესიული დახმარება უზრუნველყონ;
- წინასწარი იურიდიული კონსულტაციები მას მედიისათვის (Due dilligence მოდელი)

3. ადმინისტრაციული რეფორმების ხელშეწყობა:

- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა გამჭვირვალობის მექანიზმების ამუშავების ხელშეწყობა სახელმწიფო დაწესებულებებში.
- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ცხოვრებაში განხორციელების ხელშეწყობა აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ნორმატიულ აქტის მიღებისას ადმინისტრაციული წარმოების აუცილებელი გამოყენებასთან დაკავშირებით, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

4. კანონმდებლობის სრულყოფისა და ექსპერტიზის ხელშეწყობა

- არსებული საკანონმდებლო აქტებისა თუ საკანონმდებლო პროექტების ექსპერტიზა არაკანონიერი და კორუფციული საქმიანობის აღმოსაფხვრელად, სახელმწიფო სტრუქტურებში გადაწყვეტილებათა მიღებისას გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიღწევა. კანონების გავრცელება და მათი ცოდნის დონის მკვეთრი ამაღლება ქვეყნის მოსახლეობაში;
- არსებული კანონმდებლობის სრულყოფის პროცესის ხელშეწყობა;
- ერთიანი ნორმატიული აქტების საინფორმაციო ბანკის შექმნისა და მისი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

4. საზოგადოებრივი ინტერესთა დაცვა (Advocacy)

- აქტიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასოციაციების, პროფესიული კავშირების, ახალგაზრდული ორგანიზაციების და აქტიური მოქალაქეების საქმიანობის მხარდაჭერა, თავიანთი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე;
- ე.წ სადარაჯოზე მდგომი საზოგადოებრივი ორგანიზაციების (Watch Dog) საქმიანობის მხარდაჭერა შემდეგი მიმართულებებით: არჩევნების მონიტორინგი, ინფორმაციის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, კორუფციული ქმედებები, განათლება და ა.შ.
- საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან, სტრატეგიულ საკითხებზე სასამართლოში საქმეების წარმოება (Strategic litigation)

პროგრამა ხორციელდება ინსტიტუტი “ღია საზოგადოების სამართლებრივი ინიციატივის” თანადაფინანსებით.

კონსტანტინე კუბლაშვილი	ფუნდამენტური ადამიანის უფლებები	\$ 5 994
ნოდარ თოფურიძე	საერთაშორისო სისხლის სამართლი: თეორია და პრაქტიკა	\$ 5 924
გია ხუბუა	მართლმსაჯულების თეორია	\$ 5 952
ლევან ბოძაშვილი	ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილებები	\$ 3 900
ქეთევან ხუციშვილი	ტელდერსის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული კონკურსი	\$ 5 214

გორის საინფორმაციო ცენტრი	ყველასათვის გასაგები ინფორმაციის თავისუფლება	\$ 9 867
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი	საზოგადოება და საჯარო ინფორმაცია	\$ 8 528
გაეროს ასოციაცია	ინფორმაციის თავისუფლებაზე მომუშავე მობილური ჯგუფების ქსელი	\$ 10 000
დემოკრატიის განვითარების ცენტრი	დაინტერესებულ პირთა ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში	\$ 9 974
დავით ებრაელიძე	ელექტრონურების მომხმარებელთა ინტერესების ტექნიკური მხარდაჭერა	\$ 10 412
ცენტრი-"მშვიდობიანი კავკასია"	კონფერენცია- ქართულ-ოსური კონფლიქტი:ანალიზი და ძებნა კონფლიქტის გადაწყვეტის ოფტიმალური გზებისა	\$ 2 805
საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტი	გადასახადის გადამხდელთა და საგადასახადო ადმინისტრაციის დამოკიდებულება საგადასახადო რეფორმების მიმართ	\$ 12 891
დავით წივწივაძე	ელექტრონული საარჩევნო სისტემა არჩევნების პროცესში	\$ 22 321
განვითარების და თანამშრომლობის ცენტრი	დემოკრატიის და ადამიანის უფლებების ევროპული ინიციატივა	\$ 3 856
ფონდი "ღია საზოგადოება საქართველოს" სამართლის პროგრამა	საგანმანათლებლო სისტემის დეცენტრალიზაციის კონცეფციასთან მიმართებაში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება	\$ 1926
დემოკრატი მესხთა კავშირი	ანტიკორუფციონი	\$ 9 990
ასოციაცია-"იმერეთი"	კორუფციიდან სამართლიანობამდე	\$ 8 579
საზოგადოების განვითარების ინსტიტუტი	ანგარიშვალდებულება და ტრანსპარენტულობა	\$ 9 980
საქართველოს ანტიკორუფციული ბიურო	ანტიკორუფციული ბიუროს და საბჭოს წლიური ანგარიში	\$ 2 400

საერთაშორისო ახალგაზრდა მესხების ასოციაცია-"მესხეთი"	რეპატრიაცია, ინტეგრაცია და ადაპტაციის პროცესი	\$ 6 060
კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი	პენიტენციალურ სისტემაში რეფორმების მხარდაჭერა	\$ 9 285
ასოციაცია- "21 საუკუნე"	რელიგიის და რწმენის თავისუფლება	\$ 9 999
საზოგადოებრივი განათლების ახალგაზრდული ცენტრი	პრაქტიკული სამართალი საქართველოში	\$ 13 680
სასამართლო სწავლების ცენტრი	ეთიკის კოდექსი სასამართლო პერსონალისათვის	\$ 10 020
საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური	ანტიმონოპოლიური სამსახურის მხარდაჭერა	\$ 4 075
გელა ნიკოლაიშვილი	ალტერნატიული მოხსენება გაეროს კომიტეტის წინაშე	\$ 4 160
ოთარ კარტოზია	სამგზავრო გრანტი	\$ 1 560
ფონდი-"ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება"	უფასო სამართლებრივი დახმარება	\$ 19 400
ეთნიკური და კონფესიური ურთიერთობათა ცენტრი- "შერიგება"	კავკასიის რელიგიები: დიალოგი მშვიდობისათვის	\$ 5 000
სალომე ოდიშარია	"მშვიდობის სწავლების პროგრამის" სემინარზე დასწრება	\$ 200
თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა	კავკასია-დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება	\$ 1 800
ლ. ქეშელაშვილი	ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის სემინარში მონაწილეობა, სტრასბურგი	\$ 270
თავისუფლების ინსტიტუტი	ტექნიკური დახმარება	\$ 2 500
ოთარ ზოიძე	საავტომობილო საჯარო რეესტრის შექმნა და სისტემის რეფორმა	\$ 1 005

მ. ქარაზანაშვილი	თრენინგი გერმანიაში	\$ 499
ირაკლი ელაშვილი	პრადის ატლანტიკურ სამიტზე დასწრება	\$ 320
საქართველოს ანტიკორუფციული ბიურო	გრძელვადიანი ანტიკორუფციული პროგრამის მონიტორინგის ფინანსური მხარდაჭრა	\$ 38 474
მარინა კვაჭაძე, გიული კალატოზიშვილი, თამარ ქარსაულიძე	ადამიანის უფლებათა სესიაში მონაწილეობის მიღება, სტრასბურგი	\$ 1 821
საქართველოს ატლანტიკური საბჭო	სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობა ნატოსთან-ნაბიჯები მჭიდრო რეგიონალური თანამშრომლობისაკენ	\$ 4 350
მანანა ქოჩლაძე	სამგზავრო გრანტი	\$ 388

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: \$ 285 370

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: \$ 300 000

ქალთა პროგრამა

